ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 153

21 მარტი ქ. ქუთაისი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

ერთის მხრივ თვითმმართველი ერთეულის ქალაქ ქუთაისის მერის გიორგი თევდორაძის სახით (უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი მერის წერილზე №01-1753; 19.03.12. ქ. ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის სარეზოლუციო თანხმობა), (მისამართი: 4600, ქ. ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, ს/კ 212721170; ტელ: 8431245454;) (შემდგომში „შემსყიდველი").

და მეორეს მხრივ მიკრო მეწარმე „ირმა ხვიჩია" სახით (მისამართი: ქ. ქუთაისი, წერეთლის ქ. №4-4ა; ტელ: 514101110; ს/კ 60002014341; „პროკრედიტ ბანკი", მფო MIBGGE22; ა/ა GE02PC0013600100030734;) (შემდგომში „მიმწოდებელი").

ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. შესყიდვის ობიექტი

1.1 ქალაქ ქუთაისის მერიის კულტურის, სპორტის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურისთვის, მხიარულთა და საზრიანთა კლუბის წევრებისათვის ფორმების (პიჯაკებისა და შარვლების) შეკერვა.

1.2 მომსახურების საერთო ღირებულებაა - 1050 (ათას ორმოცდაათი) ლარი.

1.3 კლასიფიკატორის კოდი - 18300000.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

„შემსყიდველის" მხრიდან თვითმმართველი ქ. ქუთაისის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული „მიმწოდებლის" მიერ მისაწოდებელ ან უკვე გაწეულ მომსახურებაზე, კონტროლს (ინსპექტირება) განახორციელებს პერიოდულად, თანახმად საქართველოში მოქმედი ნორმების, სტანდარტებისა და წესებისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში გააჩნია უფლება შეაჩეროს მომსახურების შესყიდვა.

„შემსყიდველი" ვალდებულია შეუფერხებლად აანაზღაუროს მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (ანგარიშ-ფაქტურა).

3. გარანტია

„მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ მიაწოდებს მომსახურებას მაღალ ეფექტურად და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დადგენილი ნორმების დაცვით, ხელშეკრულებაზე თანდართული ცხრილის შესაბამისად.

„მიმწოდებელი" ვალდებულია დაიცვას საერთაშორისო ნორმები და სტანდარტები ხელშეკრულების მოქმედების მანძილზე, წინააღმდეგ შემთხვევაში „შემსყიდველი" იტოვებს უფლებას გადახედოს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის საკითხს.

4. ანგარიშსწორება

4.1 ანგარიშსწორება ხორციელდება მიმწოდებლის წერილობითი მომართვის საფუძველზე.
4.2 მიმწოდებლის წერილობით მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს:

ა) ფაქტიურად გაწეული მომსახურების მოცულობა და ღირებულება.

ბ) ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად ამოწერილი ანგარიშფაქტურა.

4.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო.
4.4 ანგარიშსწორების ვადაა გაწეული მომსახურების აქტის დამტკიცებიდან 20 დღე.
4.5 შემსყიდველი განახორციელებს წინასწარ ანგარიშსწორებას შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში და საბოლოო მიწოდების ვადის დასრულების შემდეგ მიმწოდებლის მიერ მოხდება მიწოდების შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

5. საქონლის მიწოდების ვადები.

5.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრულია 2012 წლის 21 მარტიდან 2012 წლის 11 აპრილამდე.
5.2 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას ფაქტიური მიწოდება მოახდინოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებაზე 2012 წლის 20 მარტს.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი.

6.1 მიწოდებული მომსახურების ფაქტიური მიწოდების დამტკიცებას თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ დადასტურების საფუძველზე ახორციელებს თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერი.

7. ფასები.

7.1 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, თუკი ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები.
7.2 გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ხელშეკრულების შესრულების პროცესში დადგინდა, რომ მასში გათვალისწინებული პირობები არ აკმაყოფილებს თანამედროვე პროგრესულ მოთხოვნებს და ორივე მხარემ გამოთქვა თანხმობა და სურვილი შეიტანონ სათანადო შესწორება ხელშეკრულების პირობებში.
7.3 ფორს-მაჟორული სიტუაციის პირობებში.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა.

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

8.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1 %.

8.1.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.1.3 იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა თვეში გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9. მხარეთა უფლება მოვალეობები.

9.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა.

10.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მომწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

11. ფორს-მაჟორი.

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. გამოყენებული სამართალი.

12.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. ურთიერთობა ხელშეკრულების მხარეებს შორის.

13.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ხასიათს.

13.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკითხებზე „მიმწოდებელი" ურთიერთობს ქალაქ ქუთაისის მერიასთან.

14. გადასახადები და დაბეგვრა.

14.1 მიმწოდებელი ვალდებულია კანონით დადგენილი გადასახადების, გადასახდელების გადახდაზე.

გიორგი თევდორაძე	მიკრო მეწარმე „ირმა ხვიჩია"
ქალაქ ქუთაისის მერი	ს/კ 60002014341;
ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3;	„პროკრედიტ ბანკი"
ს/კ 211721170;	მფო MIBGGE22; ა/ა GE02PC0013600100030734;
(შემსყიდველი)	(მიმწოდებელი)